




ბალტ & თაბარტი

გვერდითი შესაბამისობა

# ტურიზმი საქართველოში ყოველთვიური მიმოხილვა

■ აპრილი 2022



ბალტ & თაბარტი


გვერდითი შესაბამისობა

# აპრილი 2022: ტურიზმის შემოსავლები 2019 წლის დონის 70.6%-ზეა

## ვიზიტორები

- 2022 წლის აპრილში საქართველოს 214,644 ვიზიტორი ეწვია, რაც 160.1%-იანი წლიური ზრდაა და 2019 წლის დონის 39.0%-ია. ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო ტურისტების ზრდით, რომელმაც 2019 წლის დონის 52.3% შეადგინა (წინა თვეში - 48.5%). ერთდღიანი ვიზიტები კვლავ დაბალ ნიშნულზე იყო და 2019 წლის დონის მხოლოდ 16.0% შეადგინა, მეზობელი ქვეყნების საზღვრის კვეთის მკაცრი რეგულაციების გამო.
- აღსანიშნავია, რომ ტურისტული ვიზიტები მოიცავს იმ პირებს, რომლებიც საქართველოს ტოვებენ საანგარიშო თვეში და არ მოიცავს მიგრანტებს, რომლებიც საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ჩამოვიდნენ. აპრილში ვიზიტორების რაოდენობით ლიდერობდა თურქეთი (ჯამური რაოდენობის 16.8%), შემდეგ მოდის რუსეთი (15.6%) და სომხეთი (15.0%). აღსანიშნავია, რომ ისრაელიდან, ყაზახეთიდან, ბელარუსიდან და უზბეკეთიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობამ 2019 წლის დონეს გადააჭარბა.

## ტურიზმის შემოსავლების აღდგენა 2019 წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი  
შენიშვნა: მონაცემები მოიცავს მიგრანტების (რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა) დანახარჯებს 2022 წლის მარტიდან.

## შემოსავლები


- აპრილში ტურიზმის შემოსავალმა 188.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 3.8-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს და 2019 წლის დონის 70.6%-ია (წინა თვეში - 71.3%).
- აღსანიშნავია, რომ ტურისტული შემოსავლების ეს მაჩვენებელი ასევე მოიცავს მიგრანტების (რუსეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან) დანახარჯებს, რომლებიც საქართველოში რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ ჩამოვიდნენ. ჩვენი ვარაუდით, საქართველოში 80,000-120,000 ვიზიტორი ჩამოვიდა რუსეთიდან, ბელარუსიდან და უკრაინიდან იმაზე ხანგრძლივი ვადით, ვიდრე ტურისტები. მიგრანტების შემოდინების ეფექტი ყველაზე შესამჩნევი იყო უძრავი ქონების ბაზარზე - ქირის ფასები თბილისში წინა წელთან შედარებით 71.6%-ით, ხოლო 2019 წელთან შედარებით 21.7%-ით გაიზარდა 2022 წლის აპრილში. აღსანიშნავია, რომ მიგრანტების ნაკადის გამო ეს 2 სტატისტიკა - ვიზიტორები და შემოსავლები - ამჟამად განსხვავებულ ტენდენციებს ასახავს.
- ტურიზმის შემოსავლების 19.3% მოდიოდა რუსეთზე 2022 წლის აპრილში, შემდეგ მოდის ბელარუსი (ჯამურის 14.9%), ისრაელი (11.1%), ევროკავშირი (11.0%) და უკრაინა (10.3%).
- საბაზისო სცენარით, 2022 წელს ტურიზმის შემოსავლების 75%-იან აღდგენას ვპროგნოზირებთ 2019 წელთან შედარებით, თუმცა მიგრანტების ეფექტის გათვალისწინებით, უფრო სწრაფი აღდგენის (85%) ალბათობა გაზრდილია.

# 4თვე22: ტურიზმის შემოსავლები 2019 წლის დონის 68.9%-ზეა


2022 წლის პირველ ოთხ თვეში საქართველოს 0.7 მლნ ვიზიტორი ეწვია (+244.1% წ/წ, 2019 წლის დონის 38.9%) და შემოსავალმა 582.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (+463.1% წ/წ, 2019 წლის დონის 68.9%):

- წამყვანი ბაზრებიდან ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი თურქეთმა შეიტანა 2022 წლის ოთხ თვეში, რასაც მოსდევს რუსეთი და სომხეთი. არამეზობელი ქვეყნებიდან 2019 წელთან შედარებით შესამჩნევი აღდგენა დაფიქსირდა ისრაელიდან (+14.5% 2019-თან შედარებით), ყაზახეთიდან (+22.5%), საუდის არაბეთიდან (+62.3%), ბელარუსიდან (+123.6%) და უზბეკეთიდან (+95.9%).
- ტურიზმიდან შემოსავალმა შეადგინა 582.3 მილიონი აშშ დოლარი 2022 წლის ოთხ თვეში, რაც 2019 წლის დონის 68.9%-ია. ყველაზე მეტი შემოსავალი დაგენერირდა რუსეთიდან (ჯამურის 17.9%), რასაც მოჰყვება ბელარუსი (11.3%), ევროკავშირის ქვეყნები (11.2%), უკრაინა (9.9%), ისრაელი (9.6%) და თურქეთი (9.6%).

## ვიზიტორები (ტურისტები და ერთდღიანი) ტიპის მიხედვით, ადამიანი



## ტურიზმის შემოსავლები ქვეყნების მიხედვით, 4თვე22



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი  
შენიშვნა: მონაცემები მოიცავს მიგრანტების (რუსეთი, ბელარუსი, უკრაინა) დანახარჯებს 2022 წლის მარტიდან.

# მიგრანტების ეფექტი: გრძელვადიან გაქირავებაზე მაღალი მოთხოვნის გამო ბინების მესაკუთრეები Airbnb-დან იღებენ ბინებს

მიგრანტების ეფექტი კარგად გამოიკვეთა Airbnb-ის მოთხოვნის მატებაზე 2022 წლის მარტში, რადგან მიგრანტებმა დაჯავშნეს Airbnb აპარტამენტები ჩამოსვლისას, სანამ იპოვნიდნენ ქირაობის გრძელვადიან ვარიანტებს:


- Airbnb-ზე მოთხოვნის აღდგენა შენედა 2022 წლის აპრილში (2019 წლის დონის 62.0%) მარტთან შედარებით (2019 წლის დონის 91.1%), რაც განპირობებულია Airbnb-ზე დადებული ბინების რაოდენობის შემცირებით და გრძელვადიან გაქირავებაზე გადასვლით - აპრილში Airbnb-ზე დადებული ბინების რაოდენობა, წინა თვესთან შედარებით, 10.2%-ით შემცირდა.
- ბინების მფლობელების მიერ გრძელვადიანი გაქირავების პრეფერენციას ასევე მოწმობს ეროვნული ბანკის უძრავი ქონების ქირის ინდექსი, რომელიც 2022 წლის აპრილში წლიურად 71.6%-ით გაიზარდა (+21.7% 2019 წლის აპრილთან შედარებით), რაც ასახავს ბინების იჯარაზე დიდ მოთხოვნას.

## Airbnb-ის მოთხოვნა თბილისში, ინდექსი იან-18=100



წყარო: Airdna

## უძრავი ქონების ქირის ინდექსი თბილისში, იან-16=100




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



# სასტუმროებმა სარგებელი ტურიზმის აღდგენის ხარჯზე მიიღეს


- თბილისის საშუალო და დიდ სასტუმროებზე მოთხოვნა მცირედით გაიზარდა - პოს ტერმინალებით გადახდები თბილისის საშუალო და დიდ სასტუმროებში აღდგა 2019 წლის დონის 65.7%-მდე ან 114.3%-ით წ/წ 2022 წლის აპრილში. თბილისში Airbnb-სა და სასტუმროების ბაზრების აღდგენის განსხვავებული დინამიკა აიხსნება მიგრანტებისა და ტურისტების განსხვავებული მოთხოვნებით. მიგრანტები იმაზე დიდი ხნით დარჩენას აპირებენ, ვიდრე ტურისტები. ამიტომ, ისინი სასტუმროებთან შედარებით უფრო იაფიან ვარიანტებს ეძებენ და ზოგჯერ გრძელვადიანი ქირავნობის ხელშეკრულების დადებას ირჩევენ Airbnb-ის გამქირავებლებთან.
- აპრილში სასტუმროს შემოსავლების აღდგენა აჭარაში საკმაოდ კარგი იყო (პოს ტერმინალებით გადახდები აჭარის საშუალო და დიდ სასტუმროებში აღდგა 2019 წლის დონის 132.3%-მდე ან 115.6%-ით წ/წ 2022 წლის აპრილში), რაც აიხსნება ტურისტული ნაკადების აღდგენით, რადგან სეზონური მოთხოვნა აჭარაში ჩვეულებრივ დაჩქარებას იწყებს აპრილ-მაისის პერიოდში.

**პოს ტერმინალებით გადახდები თბილისის მსხვილ და საშუალო ზომის სასტუმროებში, ინდექსი აპრ-19=100**



წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ ენდ თაგარტის კვლევები

**პოს ტერმინალებით გადახდები აჭარის მსხვილ და საშუალო ზომის სასტუმროებში, ინდექსი აპრ-19=100**



წყარო: საქართველოს ბანკი, გალტ ენდ თაგარტის კვლევები

# ტურიზმის შემოსავლების და ვიზიტორების თვიური დინამიკა

## ტურიზმის შემოსავლების და ვიზიტორების თვიური დინამიკა

	აპრ-21	მაი-21	ივნ-21	ივლ-21	აგვ-21	სექ-21	ოქტ-21	ნოე-21	დეკ-21	იან-22	თებ-22	მარ-22	აპრ-22	2019	2020	2021
<b>ვიზიტორები, '000 ადამიანი</b>	82.5	104.8	146.7	230.9	266.5	226.7	205.7	166.6	160.8	177.1	151.9	188.4	214.6	7,725.8	1,513.4	1,721.2
2019 წლის დონის %	15.0%	16.9%	20.2%	26.2%	24.5%	28.9%	30.9%	30.7%	30.1%	40.5%	39.0%	37.1%	39.0%		19.6%	22.3%
<b>საიდანაც: ტურისტი, '000 ადამიანი</b>	75.8	96.5	133.5	213.5	247.2	209.6	188.8	151.4	144.6	163.6	137.1	159.2	182.4	5,080.5	1,087.1	1,577.5
2019 წლის დონის %	21.8%	22.7%	28.3%	37.4%	32.8%	38.9%	43.0%	44.7%	46.3%	53.5%	55.4%	48.5%	52.3%		21.4%	31.0%
<b>საიდანაც: ტურისტი, '000 ადამიანი</b>	6.7	8.3	13.2	17.4	19.3	17.0	16.9	15.2	16.2	13.5	14.7	29.2	32.3	2,645.3	426.3	143.8
2019 წლის დონის %	3.3%	4.2%	5.2%	5.6%	5.8%	7.0%	7.5%	7.4%	7.3%	10.3%	10.4%	16.3%	16.0%		16.1%	5.4%
<b>ტურიზმის შემოსავალი, მლნ აშშ დოლარი</b>	49.9	73.8	122.5	205.3	198.8	161.9	142.3	111.0	126.1	114.0	105.2	174.5	188.6	3,268.7	541.7	1,245.4
2019 წლის დონის %	18.7%	27.3%	36.0%	51.9%	48.2%	50.8%	53.3%	55.0%	58.0%	69.3%	62.2%	71.3%	70.6%		16.6%	38.1%

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეროვნული ბანკი  
 შენიშვნა: საერთაშორისო ვიზიტორების მთლიანი რაოდენობა აერთიანებს ტურისტულ (დამე დარჩენით) და ერთდღიან ვიზიტებს, მონაცემები მოიცავს მიგრანტების (რუსეთიდან, ზელარუსიდან და უკრაინიდან) ხარვეზს 2022 წლის მარტიდან.

# დანართი 1: ვიზიტორები ქვეყნების მიხედვით

## აპრილი 2022: ვიზიტორები (ტურისტი და ერთდღიანი) ქვეყნების მიხედვით, ადამიანი

	აპრ-19	აპრ-21	აპრ-22	% ცვლილება, 2022/2019
თურქეთი	95,063	21,106	35,959	-62.2%
რუსეთი	113,138	8,518	33,556	-70.3%
სომხეთი	94,391	8,331	32,228	-65.9%
საქართველო (არარეზიდენტი)	35,809	8,253	20,936	-41.5%
ისრაელი	14,343	10,098	15,709	9.5%
უკრაინა	11,991	5,922	13,018	8.6%
აზერბაიჯანი	99,073	5,287	11,360	-88.5%
ბელარუსი	2,348	1,463	7,507	219.7%
ყაზახეთი	5,621	1,639	6,032	7.3%
ირანი	10,505	1,024	5,994	-42.9%
უზბეკეთი	1,237	2,711	3,291	166.0%
გერმანია	5,670	657	2,787	-50.8%
პოლონეთი	4,761	265	2,087	-56.2%
აშშ	2,887	650	2,013	-30.3%
ინდოეთი	5,243	553	1,964	-62.5%
სხვები	47,681	6,042	20,203	-57.6%
<b>ჯამი</b>	<b>549,761</b>	<b>82,519</b>	<b>214,644</b>	<b>-61.0%</b>

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

## 4თვე22: ვიზიტორები (ტურისტი და ერთდღიანი) ქვეყნების მიხედვით, ადამიანი

	4თვე19	4თვე21	4თვე22	% ცვლილება, 2022/2019
თურქეთი	296,255	71,826	139,761	-52.8%
რუსეთი	367,215	18,062	105,349	-71.3%
სომხეთი	326,840	23,647	91,190	-72.1%
საქართველო (არარეზიდენტი)	153,578	26,986	76,056	-50.5%
ისრაელი	39,338	10,772	45,036	14.5%
აზერბაიჯანი	391,975	16,601	40,697	-89.6%
უკრაინა	45,636	10,737	40,625	-11.0%
ირანი	40,959	2,237	20,419	-50.1%
ყაზახეთი	16,378	3,483	20,063	22.5%
ბელარუსი	8,895	2,940	19,891	123.6%
უზბეკეთი	5,797	7,131	11,354	95.9%
საულის არაბეთი	6,676	35	10,832	62.3%
ინდოეთი	16,886	1,007	8,698	-48.5%
პოლონეთი	11,783	401	7,786	-33.9%
გერმანია	13,200	1,437	7,687	-41.8%
სხვები	141,850	15,405	86,496	-39.0%
<b>ჯამი</b>	<b>1,883,261</b>	<b>212,707</b>	<b>731,940</b>	<b>-61.1%</b>

# დანართი 2: წლიური დინამიკა

## შემოსავლების, ვიზიტორების და განთავსების ობიექტების წლიური დინამიკა

	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
<b>ტურიზმის შემოსავლები, მლნ აშშ დოლარი</b>	<b>1,936</b>	<b>2,111</b>	<b>2,704</b>	<b>3,222</b>	<b>3,269</b>	<b>542</b>	<b>1,245</b>
<i>%-ად მშპ-სთან</i>	<i>12.9%</i>	<i>13.9%</i>	<i>16.6%</i>	<i>18.3%</i>	<i>18.7%</i>	<i>3.4%</i>	<i>6.4%</i>
<b>საერთაშორისო ვიზიტორები, ადამიანი</b>	<b>5,255,999</b>	<b>5,392,816</b>	<b>6,482,830</b>	<b>7,203,350</b>	<b>7,725,774</b>	<b>1,513,421</b>	<b>1,721,242</b>
<i>ტიპების მიხედვით*:</i>							
ტურისტი	3,011,663	3,297,275	4,069,354	4,756,820	5,080,478	1,087,093	1,577,463
ერთდღიანი	2,244,336	2,095,541	2,413,476	2,446,530	2,645,296	426,328	143,779
<i>ქვეყნების მიხედვით:</i>							
თურქეთი	1,074,065	988,312	1,007,276	1,098,555	1,156,513	335,580	326,494
რუსეთი	763,019	849,265	1,135,057	1,404,757	1,471,558	208,677	212,979
სომხეთი	1,191,777	1,152,234	1,287,168	1,268,886	1,365,048	260,965	164,698
საქართველო (არარეზიდენტი)	441,260	429,343	456,132	476,389	488,841	140,351	151,559
უკრაინა	127,344	151,630	169,862	177,058	207,667	42,414	144,901
ისრაელი	55,439	85,398	115,040	156,922	205,051	25,731	100,686
აზერბაიჯანი	1,156,183	1,075,820	1,301,556	1,424,610	1,526,619	295,132	82,718
ყაზახეთი	30,931	40,895	47,241	58,955	103,611	13,779	66,787
სხვა	415,981	619,919	963,498	1,137,218	1,200,866	190,792	470,420
<b>აეროპორტის ჩამოსვლები</b>	<b>737,660</b>	<b>998,762</b>	<b>1,439,689</b>	<b>1,788,417</b>	<b>1,829,341</b>	<b>269,193</b>	<b>877,158</b>
<i>საიდანაც:</i>							
თბილისი	597,907	786,094	1,133,811	1,402,157	1,355,626	202,632	568,149
ქუთაისი	78,900	120,763	193,699	239,251	258,159	19,868	221,853
ბათუმი	60,853	91,905	112,179	147,009	215,556	46,693	87,156
<b>განთავსების ობიექტები</b>	<b>1,383</b>	<b>1,727</b>	<b>1,963</b>	<b>2,390</b>	<b>2,575</b>	<b>2,707</b>	<b>3,105</b>
<b>განთავსების ობიექტები, ოთახები</b>	<b>21,511</b>	<b>24,640</b>	<b>27,907</b>	<b>34,608</b>	<b>38,915</b>	<b>42,214</b>	<b>46,819</b>
<b>განთავსების ობიექტები, საწოლები</b>	<b>51,517</b>	<b>59,236</b>	<b>67,660</b>	<b>85,314</b>	<b>94,438</b>	<b>101,286</b>	<b>112,820</b>

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, GCAA, საქართველოს ეროვნული ბანკი, გალტ ენდ თაგარტის კვლევა  
 \* ვიზიტორი კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს დამსთევას, ხოლო ერთდღიანი ვიზიტორის (ან ექსკურსანტის) მოგზაურობა არ მოიცავს დამსთევას.



# მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფლიალების, მრჩველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფლიალების, მრჩველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტირების პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფლიალები, მრჩველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ წესისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფლიალების, მრჩველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფლიალები, მრჩველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნეს ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

ევა ბოჭორიშვილი  
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | [evabochorishvili@gt.ge](mailto:evabochorishvili@gt.ge) | +995 32 2401 111 ext. 8036

კახა სამყურაშვილი  
უფროსი ასოცირებული მკვლევარი | [ksamkurashvili@gt.ge](mailto:ksamkurashvili@gt.ge) | +995 32 2401 111 ext. 4298

**გალტ ენდ თაგარტი**  
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო  
ტელ: + (995) 32 2401 111  
ელ. ფოსტა: [research1@gt.ge](mailto:research1@gt.ge)